ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება № 290

"4" თებერვალი 2015 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს შორის დასადები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებისა და პროგრამული უზრუნველყოფის „ელექტრონული მართვის სისტემის" საშუალებით განხორციელების მიზნით სათანადო ღონისძიებების გატარების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში მომსახურების ეფექტურად განხორციელების მიზნით ერთიანი დოკუმენტბრუნვის გამართული ელექტრონული სისტემის დანერგვის უზრუნველსაყოფად, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-19 მუხლის ,,კ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა", ,,ი" , ,,კ" და "ჟ" ქვეპუნქტების, „სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებების მიერ საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის სტანდარტის შესაბამისი ელექტრონული პროგრამის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 მარტის #496 განკარგულების, ,,სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 21 თებერვლის #64 დადგენილების, ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ პროგრამული უზრუნველყოფის "ელექტრონული მართვის სისტემის" საშუალებით განხორციელების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 28.01.2015 წლის #04.14.93 განკარგულების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გაფორმდეს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა (გარდა ამ ბრძანების მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა) და სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შორის (შემდგომში - სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება), საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დოკუმენტბრუნვის (საქმისწარმოების) ერთიან ელექტრონულ სისტემაში ჩართვის მიზნით.

2. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება გაფორმდეს 2015 წლის 16 თებერვლიდან 2017 წლის 31 დეკემბრამდე ვადით, საიდანაც პირველი 12 თვის მომსახურება განხორციელდება უფასოდ, ხოლო დარჩენილი პერიოდის მომსახურების დაფინანსება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურმა უზრუნველყოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 და 2017 წლების ბიუჯეტებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციისათვის გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში.

3. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსს რევაზ ჩახავას.

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 170, ფაქსი: (+995 32) 2 378 200

4. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების საქალაქო სამსახურსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციას: განხორციელონ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით შესაბამისი ღონისძიებები.

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 28.01.2015 წლის #04.14.93 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულმა ორგანოებმა „ელექტრონული მართვის სისტემის" დასანერგად უზრუნველყონ ხელშეკრულების გაფორმება 2015 წლის 16 თებერვლიდან 2017 წლის 31 დეკემბრამდე ვადით, საიდანაც პირველი 12 თვის მომსახურება განხორციელდება უფასოდ, ხოლო დარჩენილი პერიოდის მომსახურების დაფინანსება განხორციელდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 და 2017 წლების ბიუჯეტებით ტერიტორიული ერთეულებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში.

6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსს რევაზ ჩახავას.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. #6).

დავით ნარმანია